

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების
ჰიპერმარკეტი“

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება
და მმართველობის ანგარიშგება,

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად,

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

სარჩევი

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა -----	3
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	6
3. მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	7
4. კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება -----	8
5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	9
6. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	10
7. მმართველობის ანგარიშგება -----	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტის“ მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტის“ (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს მათ შორის, არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-17 შენიშვნაზე. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-17 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. შესადარის ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა წინამორბედმა აუდიტორმა, რომელმაც 2024 წლის 19 სექტემბრის ამ ფინანსური ანგარიშგების შესახებ გამოთქვა უპირობო მოსაზრება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით,

რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწარმოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის

რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286



შპს ფი-ქეი-ეფ ჯორჯია-ს სახელით ფირმის რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-7983620

თბილისი, საქართველო

18 ივლისი, 2025 წელი

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

	შენ.	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,152,727	1,216,751
არამატერიალური აქტივები		121,205	122,566
საგადასახადო აქტივები		-	97,476
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,273,932	1,436,793
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	9,769,155	7,217,394
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		369,799	417,177
გადახდილი ავანსები		1,379,507	733,925
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	4,414,115	3,873,804
სულ მიმდინარე აქტივები		15,932,576	12,242,300
სულ აქტივები		17,206,508	13,679,094
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	7	19,096,017	18,283,497
დაგროვილი ზარალი	7	(8,473,577)	(9,496,919)
კაპიტალის და რეზერვების ჯამი		10,622,440	8,786,578
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	6,238,088	4,859,337
მიღებული ავანსები		62,850	9,602
საგადასახადო ვალდებულება		239,468	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		43,662	23,577
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,584,068	4,892,516
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,206,508	13,679,094

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია მე-17 შენიშვნაში წარდგენილი კორექტირების შემდეგ.

10-23 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, 6-23 გვერდის ჩათვლით, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 18 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი
 მიხეილ ბრეგვაძე

ფინანსური დირექტორი
 ლევან ბორცვაძე

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

	შენ.	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,152,727	1,216,751
არამატერიალური აქტივები		121,205	122,566
საგადასახადო აქტივები		-	97,476
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,273,932	1,436,793
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	9,769,155	7,217,394
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		369,799	417,177
გადახდილი ავანსები		1,379,507	733,925
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	4,414,115	3,873,804
სულ მიმდინარე აქტივები		15,932,576	12,242,300
სულ აქტივები		17,206,508	13,679,094
კაპიტალი და რეზერვები			
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	7	(8,473,577)	(9,496,919)
საწესდებო კაპიტალი	7	19,096,017	18,283,497
კაპიტალის და რეზერვების ჯამი		10,622,440	8,786,578
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	6,238,088	4,859,337
მიღებული ავანსები		62,850	9,602
საგადასახადო ვალდებულება		239,468	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		43,662	23,577
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,584,068	4,892,516
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,206,508	13,679,094

*ზოგიერთი ნაწილები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია მე-17 შენიშვნაში წარდგენილი კორექტირების შემდეგ.

10-23 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, 6-23 გვერდის ჩათვლით, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 18 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი
 მინეილ ზრეგვაძე

ფინანსური დირექტორი
 ლევან ზორცვაძე

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
 მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენ.	2024	*2023(გადაანგარიშებული)
საოპერაციო შემოსავლები	9	37,978,172	31,424,168
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10	(28,459,783)	(23,739,878)
საერთო მოგება		9,518,389	7,684,290
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	11	(5,635,102)	(5,423,028)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(2,846,671)	(2,250,922)
საოპერაციო მოგება		1,036,616	10,340
არასაოპერაციო შემოსავალი	13	648,415	570,974
არასაოპერაციო ხარჯები		(431,670)	(873,578)
საკუროს სხვაობით მიღებული ზარალი		(230,019)	(114,978)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1,023,342	(407,242)
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		1,023,342	(407,242)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,023,342	(407,242)

10 - 23 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	16,989,809	(9,118,088)	7,871,721
პერიოდის შედეგი	-	(407,242)	(407,242)
მთლიანი სრული შემოსავალი			
ცვლილება	1,293,688	28,411	1,322,099
ოპერაციები მფლობელებთან	1,293,688	28,411	1,322,099
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,283,497	(9,496,919)	8,786,578
პერიოდის შედეგი	-	1,023,342	1,023,342
მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,023,342	1,023,342
კაპიტალის ზრდა	812,520	-	812,520
ოპერაციები მფლობელებთან	812,520	-	812,520
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	19,096,017	(8,473,577)	10,622,440

10 - 23 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
 2024 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 ქართულ ლარში

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	1,023,342	(407,242)
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	299,378	322,391
	1,322,720	(84,850)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
ცვლილება მარაგებში	(2,551,761)	773,355
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	47,378	646,731
ცვლილება გადახდილ ავანსებში	(645,582)	(90,469)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,378,751	534,697
ცვლილება მიღებული ავანსებში	53,248	(61,281)
ცვლილება საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	239,468	(194,307)
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში	20,086	12,027
საოპერაციო საქმიანობაში გამოყოფილი ფული	(135,692)	1,535,903
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(486,983)	(233,803)
ძირითადი საშუალებების გასვლა	272,048	121,665
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	(214,935)	(112,138)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სხვა ცვლილება	78,418	28,411
საწესდებო კაპიტალის ზრდა	812,520	1,293,688
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	890,938	1,322,099
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	540,311	2,745,864
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	3,873,804	1,127,940
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4,414,115	3,873,804

10 - 23 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“ (ს/ნ 406263378) (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2018 წლის 06 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი,

ჯუმბერ ლეჟავას ქუჩა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სააქციო საზოგადოება Hualing international special economic zone, 404934381.

ყოველდღიური აქტივობები კომპანიაში კონტროლდება დირექტორის მიერ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტის“ დირექტორია ბრეგვაძე მიხეილი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო და სარემონტო მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა, საცხოვრებელი და საოფისე ფართების აქსესუარებით ვაჭრობა.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2023	2.6894	2.9753
31-დეკ-2024	2.8068	2.9306

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; კომპანია მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით. ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი და შემდგომი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
სატრანსპორტო საშუალებები და სპეცტექნიკა	10-15 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი	5 წელი
კონსტრუქციები და მოწყობილობები	5-7 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება FIFO მეთოდით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია ადადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ამონაგების აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელს მომხმარებელი მიიღებს. ამონაგები არის გაყიდვის ღირებულება გაყიდვასთან დაკავშირებული ფასდაკლებების და ფასდათმობების და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოქვითვის შემდეგ.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო და სარემონტო მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა, საცხოვრებელი და საოფისე ფართების აქსესუარებით ვაჭრობა.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება შესაბამის მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მიმდინარე სააღრიცხვო და მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ,

შპს „ჭუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

4 ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	სპეც ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	კონსტრუქციები	იჯარით აღებული ქონების კეტილმოწყობა	სხვა	სულ
თვითღირებულება 31.12.2022	215,257	260,664	747,600	448,452	305,258	125,058	2,102,289
შემოსვლა	20,454	-	44,939	43,549	-	124,860	233,802
გასვლა	(12,080)	-	(11,179)	-	-	(112,112)	(135,371)
თვითღირებულება 31.12.2023	223,631	260,664	781,360	492,001	305,258	137,806	2,200,721
შემოსვლა	25,540	85,038	40,440	61,179	25,100	249,686	486,983
გასვლა	(26,128)	(2,088)	(76,779)	(1,160)	-	(323,008)	(429,163)
თვითღირებულება 31.12.2024	223,042	343,614	745,022	552,019	330,358	64,484	2,258,541
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	(44,046)	(76,630)	(339,394)	(108,224)	(70,956)	(68,338)	(707,587)
ცვეთის ხარჯი	(16,861)	(27,939)	(134,442)	(53,902)	(30,781)	(26,163)	(290,088)
ცვეთა გასულ აქტივზე	5,489	-	8,216	-	-	-	13,705
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	(55,418)	(104,569)	(465,620)	(162,126)	(101,737)	(94,501)	(983,970)
ცვეთის ხარჯი	(18,514)	(28,677)	(128,524)	(59,646)	(31,193)	(12,405)	(278,959)
ცვეთა გასულ აქტივზე	7,701	1,195	67,158	436	-	80,625	157,115
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	(66,231)	(132,051)	(526,986)	(221,336)	(132,930)	(26,281)	(1,105,814)
საბალანსო ღირებულება 31.12.2023	168,213	156,096	315,740	329,875	203,522	43,305	1,216,751
საბალანსო ღირებულება 31.12.2024	156,811	211,563	218,036	330,683	197,429	38,204	1,152,727

კომპანიის ძირითადი საშუალებები არ წარმოადგენს რაიმე ვალდებულების უზრუნველყოფის საგანს.

2024 წელს ადმინისტრაციულ ხარჯებში ასახულია 14,223 ლარის ცვეთის ხარჯი.

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

2024 წელს მიწოდების და რეალიზაციის ხარჯებში ასახულია 264,736 ლარის ცვეთის ხარჯი.

5 მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
საქონელი	9,743,315	7,152,588
სხვა	25,840	64,806
ჯამი	9,769,155	7,217,394

კომპანიის მარაგები შედგება სარეალიზაციო საქონლისგან.

კომპანიის ვალდებულებები არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი.

მარაგების თვითღირებულება, რომლებიც აღიარდა ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2024 წლის პერიოდის მანძილზე შეადგენს 28,459,783 ლარს(2023: 23,739,878 ლარი).

6 ფული და ფული ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	51,184	96,316
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	831	29,924
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,317,606	3,523,238
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,032,101	81,469
ფული გზაში	12,393	142,857
ჯამი	4,414,115	3,873,804

7 კაპიტალი და რეზერვები

7.1 საწესდებო კაპიტალი

	31.12.2024	31.12.2023
საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლების მიერ ფულად შენატანებს.	19,096,017	18,283,497

7.2 დივიდენდები

2024 და 2023 წლებში არ მომხდარა დივიდენდების გაცემა.

8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	6,036,772	4,791,908
სხვა ვალდებულებები	201,316	67,429

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

ჯამი	6,238,088	4,859,337
------	-----------	-----------

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეების მიმართ ვალდებულებები
შეადგენდა 192,053 ლარს (2023: 56,924).

9 საოპერაციო შემოსავლები

	2024	2023
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	37,887,221	31,363,649
სხვა შემოსავალი	90,951	60,519
სულ	37,978,172	31,424,168

2024 წელს დაკავშირებულ მხარეებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 109,316 ლარს (2023: 135,332).

10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	28,459,783	23,739,878
სულ	28,459,783	23,739,878

11 მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	2,336,294	2,608,561
ლოჯისტიკის ხარჯი	542,643	463,401
ცვეთა და ამორტიზაცია	264,736	278,084
რეკლამის ხარჯი	385,153	315,045
მაღაზიის ხარჯი	1,180,481	694,905
მარკეტინგის ხარჯი	74,817	143,314
საწყობის ხარჯი	291,702	134,450
საგადასახადო ხარჯი	46,726	52,171
სხვა	512,550	733,097
სულ	5,635,102	5,423,028

12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურების ხარჯი	1,590,641	1,086,378
ექვაირინგის საკომისიო ხარჯი	264,361	199,563
სერვისით მომსახურების ხარჯი	160,576	151,980
საგადასახადო ხარჯი	154,866	216,623
HR დეპარტამენტის ხარჯი	113,123	84,914
IT დეპარტამენტის ხარჯი	110,949	104,434
თანამშრომელთა ჯანმთელობის დაზღვევის ხარჯი	83,882	73,689

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

საკომისიოს ხარჯი	59,493	31,548
ბანკის საკომისიოს ხარჯი	48,055	37,482
კომუნალური ხარჯი	35,964	34,707
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	32,823	45,269
სხვა ხარჯი	191,938	184,335
სულ	2,846,671	2,250,922

13 არასაოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი დეპოზიტიდან	289,033	124,456
საქონლის ზედმეტობით მიღებული შემოსავალი	183,557	319,237
შემოსავალი ფასდაკლებიდან	101,700	59,602
შემოსავალი კრედიტ ნოტებიდან	36,438	47,446
სხვა	37,687	20,233
სულ	648,415	570,974

14 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საწესდებო კაპიტალისგან, დაგროვილი მოგებისგან და ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვისგან.

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გათვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
მთლიანი კაპიტალი	10,622,440	8,786,578
მინუს: ნაღდი ფული და ფული ბანკში	(4,414,115)	(3,873,804)
კაპიტალი	6,208,325	4,912,774
მთლიანი კაპიტალი	10,622,440	8,786,578
სესხები	-	-
სრული ფინანსირება	10,622,440	8,786,578

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან

0.58

0.56

15 დაკავშირებული მხარეები

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;

ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა;

ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

ეს საწარმო, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(ა) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

კომპანიას დაკავშირებულ მხარისაგან იჯარით აქვს ფართი აღებული, ასევე იჯარით გასცემს ფართს დაკავშირებულ მხარეზე.

ინფორმაცია კომპანიის დამფუძნებლების და ხელმძღვანელობის შესახებ წარმოდგენილია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 1-ში. ამასთანავე არ არსებობს სხვა საბოლოო მშობელი საწარმო.

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,485	-	2,485
გადახდილი ავანსები	92,495	-	92,495
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(192,053)	-	(192,053)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
შემოსავალი	109,316	-	109,316
რეალიზებული პროდუქციის თვირღირებულება	1,241,063		1,241,063

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,893	-	9,893
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(56,924)	-	(56,924)

	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
შემოსავალი	135,332	-	135,332
რეალიზებული პროდუქციის თვირღირებულე	314,484	-	314,484

2024 წლის განმავლობაში მენეჯმენტის ხელფასის ხარჯმა შეადგინა 318,275 ლარი (2023: 282,200) ლარი.

16 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 1 იანვრიდან ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე კომპანიაში ადგილი არ ჰქონია ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც შესაძლოა გაჟღერებულიყო ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

17 წინა პერიოდების გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები

კომპანია წინა 2023 პერიოდის მნიშვნელოვან გამორჩენილ ინფორმაციასა და შეცდომებს რეტროსპექტიულად ასწორებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რა მიზნითაც ასწორებს წინა პერიოდების იმ

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

შედარებით თანხებს, რომლებშიც მოხდა მონაცემის გამოტოვება ან მცდარი ასახვა და თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ წინა პერიოდებში, მაშინ ასწორებს ამ აქტივების, ვალდებულებისა და კაპიტალის (შესაბამისი ელემენტების) აღნიშნული ადრეული წინა პერიოდების საწყის ნაშთებს. კომპანიამ ზემოაღნიშნული გაითვალისწინა ფინანსური მდგომარეობის, ასევე მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შესაბამისად მოახდინა შესაბამისი შეცდომების გასწორების/გადაანგარიშების ასახვა რეტროსპექტიულად გასულ საანგარიშგებო პერიოდებზე.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე:

2023 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	თანხა ცვლილებამდე 2023	რეკლასიფიცირება 2023	თანხა ცვლილების შემდეგ 2023
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	4,726,089	696,939	5,423,028
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,947,861	(696,939)	2,250,922

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“ მმართველობის ანგარიშგება ქართულ ლარში

საქმიანობის მიმოხილვა

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“ (ს/ნ 406263378) (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2018 წლის 06 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი,

ჯუმბერ ლეჟავას ქუჩა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სააქციო საზოგადოება Hualing international special economic zone, 404934381.

ყოველდღიური აქტივობები კომპანიაში კონტროლდება დირექტორის მიერ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტის“ დირექტორია ბრეგვაძე მიხეილი.

საოპერაციო გარემო

კომპანიამ აქტიურად დაიწყო ელექტრონული მიმართულებით განვითარება. დღეის მდგომარეობით უკვე შექმნილია მიჰაუსის მობილურის აპლიკაცია და ვებ-გვერდი Mihouse.ge. ვთანამშრომლობთ უამრავ ონლაინ მიწოდების პლატფორმასთან.

დაგეგმილია ქსელის კიდევ უფრო გაფართოება. ძირითადად, საქართველოს რეგიონებში. აღნიშნული მიზნების მისაღწევად კომპანია ახდენს ახალი ლოკაციების მოძიებასა და შესწავლას. 2022 წლის სექტემბერში უკვე გაიხსნა კომპანიის შოურუმი ქ. ქუთაისში. 2025 წელს იგეგმება შოურუმების გაფართოება როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში.

მზარდი კონკურენციის პირობებში ჩვენი მიზანია განვითარებული ინფრასტრუქტურით, მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით და გაუმჯობესებული სერვისებით უპასუხოთ თანამედროვე გამოწვევებს და შესთავაზოთ მომხმარებელს მაღალხარისხიანი სამშენებლო და სარემონტო მასალები. დღეისათვის მიჰაუსის მფლობელობაშია მეგაცენტრი ქ. თბილისში ჰუალინგის ტერიტორიაზე, სადაც სრულადაა წარმოდგენილი კომპანიის პროდუქცია. კომპანიის სამომავლო გეგმებში შედის აღნიშნული

საგამოფენო დარბაზის განვითარება/გაუმჯობესება, ასორტიმენტის გაზრდა და მომხმარებელზე მორგებული სერვისის და ფასების შეთავაზება.

კომპანიაში ფუნქციონირებს ERP სისტემა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საცალო და საბითუმო გაყიდვების, ლოჯისტიკის, ფინანსებისა, ადამიანური რესურსების მართვისა და მარკეტინგის მოდულების მართვა და პროცესების ოპტიმიზაცია.

ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე აისახება საქართველოში მოქმედი ეკონომიკური და ფინანსური ფაქტორები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და სხვა მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებასა და დახვეწას.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო და სარემონტო მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა, საცხოვრებელი და საოფისე ფართების აქსესუარებით ვაჭრობა.

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“ მმართველობის ანგარიშგება ქართულ ლარში

სუბიექტის ფილიალები

კომპანიას აქვს სათაო ოფისი ქ. თბილისში და შოურუმი ქ.ქუთაისში.


კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

კომპანია პერმანენტულად ანხორციელებს ბაზარზე არსებული ფასების, კონკურენტების შესწავლას. ასევე ბაზრის მოთხოვნის შესწავლას. აღნიშნული კვლევები ხორციელდება მარკეტინგისა და კომერციული დეპარტამენტის ჩართულობით.

კვლევების მიზანია ახალი კონკურენტების ანალიზი, რაც კომპანიის ბაზარზე პოზიციონირებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

იხილეთ ცხრილი:



კომპანიის 2024 წლის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები:

ლიკვიდობის კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები = 15,932,576 მიმდინარე ვალდებულებები 6,584,068	2.42
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები-მარაგები = 6,163,421 მიმდინარე ვალდებულებები 6,584,068	0.94

შპს „ჭუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“ მმართველობის ანგარიშგება ქართულ ლარში

კომპანიის კაპიტალი

2024 წლის საწყისი საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენდა 18,283,497 ლარს. წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 812,520 ლარით და შეადგინა 19,096,017 ლარი.

2024 წლის საწყისი დაგროვილი ზარალის ნაშთი შეადგენდა 9,496,917 ლარს. 2024 წლის წმინდა მოგება შეადგინა 1,023,342 ლარი, ხოლო კომპანიის მფლობელებზე არ გაცემულა დივიდენდები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიის საოპერაციო საქმიანობა არ უკავშირდება ისეთ გლობალურ რისკებს, როგორიცაა: საბანკო რეგულაციები, ეკონომიკური რყევები და სავალუტო რისკები, რომლებზეც ხშირ შემთხვევაში ბევრი კომპანიის გაყიდვების მოცულობა დიდადაა დამოკიდებული.

კომპანია არ ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების რყევების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასთან და ფულად ნაკადებთან მიმართებით, რადგანაც ყველა ოპერაცია ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ ვერ შეძლო ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. კომპანიის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს კომპანიის ხელმძღვანელობა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ექვემდებარება ლიკვიდურობის რისკს.

არაფინანსური ანგარიში

სოციალური პასუხისმგებლობა

უპირველესი სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც კომპანიის უშუალო საქმიანობას უკავშირდება, მომხმარებლებისათვის საიმედო მომსახურების გაწევაა.

კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა

„კომპანია“ აცნობიერებს თავის კორპორატიულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. კომპანია ითვალისწინებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (კლიენტებს, თანამშრომლებს და ფართო საზოგადოებას) სამუშაო სტრატეგიის შემუშავებისა და ოპერაციების გაუმჯობესებისათვის.

ადამიანთა უფლებების დაცვა

კომპანიაში მაქსიმალურად დაცულია ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები.

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“ მმართველობის ანგარიშგება ქართულ ლარში

კომპანია დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს განურჩევლად რასის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკის, და ა.შ. ეს პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შრომით სამართლებრივი მოქმედებების შემთხვევაში.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია საკუთარ ბიზნეს საქმიანობას წარმართავს ეთიკის პრინციპების დაცვით, ისევე როგორც მოქმედი შიდა და საერთაშორისო ანტიკორუფციული მოთხოვნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. კომპანიის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და რეგულაციებს, და ასევე საერთაშორისო სტანდარტებს.

კომპანიის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა კრძალავს ღირებულების მქონე ნებისმიერი სიკეთის გადაცემას ან შეთავაზებას ნებისმიერი პირისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პირისგან მის მიღებას ან წახალისებას კორუფციული მოტივით, როგორცაა მაგალითად დაუმსახურებელი ანაზღაურების ან შეღავათის მინიჭება სახელმწიფო მოხელისთვის ან უკანონო ბიზნეს უპირატესობის მოსაპოვებლად კერძო პირისთვის.

წინამდებარე პოლიტიკა კრძალავს როგორც ქრთამის შეთავაზებასა და გადახდას, ისე მის დაპირებას (როგორც პირდაპირ, ისე ირიბად), ასევე ქრთამის მოთხოვნის, აღების, ან აღების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერას, წახალისებას ან პროვოცირებას ნებისმიერი ფორმით.

კორუფციის და მექრთამეობის რისკები ფასდება რეგულარულად, მექრთამეობის რისკების იდენტიფიცირების, პრიორიტეტის მინიჭების და თავიდან აცილების მიზნით. კომპანიაში დანერგილია შესაბამისი შიდა კონტროლები, ბიზნეს პროცესებში ჩართული თანამშრომლების პასუხისმგებლობა არის გადანაწილებული და არსებობს რამდენიმე დონის კონტროლი. თითოეული მენეჯერი ამოწმებს მისი საქმიანობის სფეროს და ადგენს დარღვევების/რისკებს.

კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

„კომპანია“ დიდ ყურადღებას უთმობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. ფინანსდება სხვადასხვა პროფესიული კურსები. სწორედ ამიტომ, ტრენინგების შედეგია ის, რომ თანამშრომლებმა შეძლეს ცოდნის გაღრმავება და მოახერხეს იმ უნარების გაუმჯობესება, რაც დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 18 ივლისს:

მიხეილ ბრეგვაძე

დირექტორი

შპს „ჭუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

მმართველობის ანგარიშგება

ქართულ ლარში

შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შრომით სამართლებრივი მოქმედებების შემთხვევაში.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია საკუთარ ბიზნეს საქმიანობას წარმართავს ეთიკის პრინციპების დაცვით, ისევე როგორც მოქმედი შიდა და საერთაშორისო ანტიკორუფციული მოთხოვნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. კომპანიის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და რეგულაციებს, და ასევე საერთაშორისო სტანდარტებს.

კომპანიის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა კრძალავს ღირებულების მქონე ნებისმიერი სიკეთის გადაცემას ან შეთავაზებას ნებისმიერი პირისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პირისგან მის მიღებას ან წახალისებას კორუფციული მოტივით, როგორცაა მაგალითად დაუმსახურებელი ანაზღაურების ან შეღავათის მინიჭება სახელმწიფო მოხელისთვის ან უკანონო ბიზნეს უპირატესობის მოსაპოვებლად კერძო პირისთვის.

წინამდებარე პოლიტიკა კრძალავს როგორც ქრთამის შეთავაზებასა და გადახდას, ისე მის დაპირებას (როგორც პირდაპირ, ისე ირიბად), ასევე ქრთამის მოთხოვნის, აღების, ან აღების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერას, წახალისებას ან პროვოცირებას ნებისმიერი ფორმით.

კორუფციის და მექრთამეობის რისკები ფასდება რეგულარულად, მექრთამეობის რისკების იდენტიფიცირების, პრიორიტეტის მინიჭების და თავიდან აცილების მიზნით. კომპანიაში დანერგილია შესაბამისი შიდა კონტროლები, ბიზნეს პროცესებში ჩართული თანამშრომლების პასუხისმგებლობა არის გადანაწილებული და არსებობს რამდენიმე დონის კონტროლი. თითოეული მენეჯერი ამოწმებს მისი საქმიანობის სფეროს და ადგენს დარღვევების/რისკებს.

კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

„კომპანია“ დიდ ყურადღებას უთმობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. ფინანსდება სხვადასხვა პროფესიული კურსები. სწორედ ამიტომ, ტრენინგების შედეგია ის, რომ თანამშრომლებმა შეძლეს ცოდნის გაღრმავება და მოახერხეს იმ უნარების გაუმჯობესება, რაც დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 18 ივლისს:

მიხეილ ბრეგვაძე

დირექტორი